მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №28

2022 წლის 16 მარტი

ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, პარტიის ,,ევროპული საქართველო“ წევრის დათო ხელაიას ფრაქციაში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაწევრიანების შესახებ

2022 წლის 28 იანვარს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიას განცხადებით მიმართა საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარემ ვლადიმერ დანელიამ მარტვილის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, პარტიის ,,ევროპული საქართველო“ წევრის დათო ხელაიას ფრაქციაში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაწევრიანების შესახებ. შესაბამისად კომისიამ იმსჯელა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე და დაასკვნა, რომ წარმოდგენილ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები შეესაბამება საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. კომისიის დადებითი დასკვნიდან გამომდინარე აღნიშნული საკითხი მიღებულ იქნას ცნობად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის და ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №11 დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მარტვილის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის, პარტიის ,,ევროპული საქართველო“ წევრის **დათო ხელაიას** გაწევრიანებასასთან დაკავშირებით მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა